

შპს „რესპუბლიკა“

**ფინანსური ანგარიშგება
2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით
და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა**

მარტი 2021
თბილისი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	1-3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	6
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	7
განმარტებითი შენიშვნები	8
დასკვნის ბოლო გვერდი	27

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „რესპუბლიკა“-ს ხელმძღვანელობას:

ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნა

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „რესპუბლიკა“-ს ფინანსური ანგარიშგების აუდიტი. ანგარიშგება შედგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლების ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, გარდა პირობითი მოსაზრების საფუძვლის აბზაცში მოყვანილი გარემოებებისა, სამართლიანად ასახავს შპს „რესპუბლიკა“-ს ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (IFRS for SME) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ კომპანიის აუდიტორებად დავინიშნეთ 2020 წლის 22 სექტემბერს და ამდენად 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მარაგების ფიზიკურ გადათვლას არ დავსწრებივართ, ჩვენ ვერ შევძელით 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფლობილი მარაგების რაოდენობაში ალტერნატიული მეთოდებით დარწმუნება. ვინაიდან მარაგების საწყისი ნაშთი ფინანსური შედეგების და ფულადი ნაკადების განსასაზღვრად მნიშვნელოვანი ელემენტია, ჩვენ ვერ შევძელით იმის დადგენა, საჭირო იქნებოდა თუ არა სრული შემოსავლის ანგარიშში ასახული წლის მოგების და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშში საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადების კორექტირება.

კომპანიას 2019 წელს მიღებული აქვს სესხი დამფუძნებლისგან და თანამშრომლებისგან 1,021,641.17 ლარის ოდენობით, საიდანაც 699,302.77 ლარი კომპანიამ დაფარა. წარმოდგენილი სესხის ხელშეკრულებაში მნიშვნელოვანი კომპონენტების გაუთვალისწინებლობის (დაფარვის თარიღი, სესხის პროცენტი, გრაფიკი და ა.შ) გამო ჩვენ ვერ შევძელით აღნიშნული სასესხო ვალდებულებების ტესტირება და შესაბამისად ვერ მივიღეთ რწმუნება კომპანიის ბალანსზე არსებული სასესხო ვალდებულებების ნაშთების სისწორეზე.

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISAs) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ ორგანიზაციისაგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ შესაბამისად. გარდა ამისა ჩვენ შევასრულეთ აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოდიფიცირებული მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

დამატებითი ინფორმაცია

მენეჯმენტი პასუხისმგებელია დამატებით ინფორმაციაზე. დამატებითი ინფორმაცია შედგება მმართველობის ანგარიშგებისგან, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად (თუმცა, არ მოიცავს ამ ფინანსურ ინფორმაციასა

და ჩვენს აუდიტის დასკვნას), რომლებიც სავარაუდოა, რომ ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება ამ აუდიტის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი მოსაზრება არ ვრცელდება დამატებით ინფორმაციაზე, მათ შორის, მმართველობის ანგარიშგებაზე. ფინანსური ანგარიშგებების აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს ზემოთ ხსენებული დამატებითი ინფორმაციის გაცნობას მას შემდეგ, რაც ეს ხელმისაწვდომი გახდება ჩვენთვის, და განხილვას, შესაძლებელია თუ არა, რომ ინფორმაცია იყოს არსებითად არასწორი ან არსებობს თუ არა არსებითი შეუსაბამობა დამატებით ინფორმაციასა და ფინანსურ ანგარიშგებებს ან აუდიტის ჩატარებისას ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციას შორის. ამასთან, ვალდებულები ვართ გამოვხატოთ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების გარკვეული მუხლების მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის შესახებ და შევაფასოთ, რამდენად მოიცავს მმართველობის ანგარიშგება “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას.

მენეჯმენტის და ფინანსური ანგარიშების მართვაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობები

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარმოდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და იმ შიდა კონტროლის შესაბამისად, რასაც მენეჯმენტი ჩათვლის საჭიროდ ფინანსური ანგარიშგების მატერიალური ცდომილების გარეშე მოსაზრებლად, იქნება ეს განზრახ თუ უნებლიედ გამოწვეული.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასა და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშების აუდიტისთვის

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშები მთლიანად თავისუფალია უნებლიე თუ განზრახ დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან, და გავცეთ აუდიტის დასკვნა, სადაც მოცემულია ჩვენი მოსაზრება. გონივრული მტკიცებულება არის მტკიცებულების მაღალი დონე, მაგრამ არ არის გარანტია, რომ ISAS-ს შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის აღმოაჩენს არსებით ცდომილებას, ასეთის არსებობის დროს. ცდომილება შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის გამო და მიიჩნევა არსებითად, თუკი მოსალოდნელია, რომ ერთობლივად ან ცალ-ცალკე, გავლენას იქონიებს მომხმარებელთა მიერ აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

როგორც აუდიტის ნაწილი ISAS-სთან შესაბამისად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიონალურ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიონალურ სკეპტიციზმს აუდიტის განმავლობაში. ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსური ანგარიშების განზრახ ან უნებლიედ დაშვებული არსებითი ცდომილების რისკებს, აღნიშნული რისკების საპასუხოდ შევიმუშავებთ და ვასრულებთ აუდიტის პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი მოსაზრებისათვის საკმარისი საფუძვლის და შესაბამის აუდიტის მტკიცებულებას. თაღლითობისგან წარმოშობილი არსებითი ცდომილების ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომის შედეგად წარმოშობილი არსებითი ცდომილებისა, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, არასწორ ინტერპრეტაციას ან შიდა კონტროლის მექანიზმების დარღვევას/უარყოფას;
- გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისობა და სააღრიცხვო შეფასებების და მენეჯმენტის მიერ მათთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნების გონივრულობის შეფასება.

- სააღრიცხვო მიზნებისათვის მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენების შესაბამისობის შეფასება და მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულების საფუძველზე, აზრის გამოთქმა არსებობს თუ არა მნიშვნელოვანი უზუსტობა იმ მოვლენებსა და პირობებთან დაკავშირებით, რომლებმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსი.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგებების ზოგად წარმოდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით. თუ რამდენად სამართლიანად ასახავს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები იმ ტრანზაქციებს და მოვლენებს, რომლის საფუძველზეც მოხდა მათი მომზადება.

სხვა საკითხების განხილვა მენეჯმენტთან არ მომხდარა.

ჩვენ ასევე მივაწოდეთ მენეჯმენტს განცხადება, რომ ვაკმაყოფილებთ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და მივაწოდეთ ინფორმაცია ყველა კავშირზე და საკითხზე, რაც შესაძლოა ჩაითვალოს ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხისთვის მნიშვნელოვნად.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები შესაბამისია და საკმარის საფუძველს იძლევა აუდიტის მოდიფიცირებული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად.

აუდიტის შემოწმების ხელმძღვანელი, რომელმაც შეადგინა წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, არის ალექსანდრე ოქრომჭედლიშვილი.

30 მარტი 2021 წ.

თბილისი, საქართველო

- საატრიცხო მიზნებისათვის მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენების შესაბამისობის შეფასება და მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულების საფუძველზე, აზრის გამოთქმა არსებობს თუ არა მნიშვნელოვანი უზუსტობა იმ მოვლენებსა და პირობებთან დაკავშირებით, რომლებმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსი.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგებების ზოგად წარმოდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით. თუ რამდენად სამართლიანად ასახავს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები იმ ტრანზაქციებს და მოვლენებს, რომლის საფუძველზეც მოხდა მათი მომზადება.

სხვა საკითხების განხილვა მენეჯმენტთან არ მომხდარა.

ჩვენ ასევე მივაწოდეთ მენეჯმენტს განცხადება, რომ ვაკმაყოფილებთ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და მივაწოდეთ ინფორმაცია ყველა კავშირზე და საკითხზე, რაც შესაძლოა ჩაითვალოს ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხისთვის მნიშვნელოვნად.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები შესაბამისია და საკმარის საფუძველს იძლევა აუდიტის მოდიფიცირებული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად.

აუდიტის შემოწმების ხელმძღვანელი, რომელმაც შეადგინა წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, არის ალექსანდრე ოქრომჭედლიშვილი.

30 მარტი 2021 წ.

თბილისი, საქართველო



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	31-დეკ-19	31-დეკ-18
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	5	2,596	26,561
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	2,115,150	1,835,577
გადახდილი ავანსები		77,689	57,303
წინასწარ გადახდილი ხარჯები		-	53,686
მარაგები	7	1,258,612	1,441,534
მიმდინარე აქტივების ჯამი		3,454,048	3,414,660
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	616,210	543,991
არამატერიალური აქტივები	8	600	600
გრძელვადიანი აქტივების ჯამი		616,810	544,591
აქტივების ჯამი		4,070,858	3,959,251
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	4,392,305	2,687,683
მოკლევადიანი სესხები	10	322,338	-
სალიზინგო ვალდებულებების მიმდინარე ნაწილი	11	134,781	148,304
საგადასახადო აქტივი/ვალდებულება		272,744	125,512
მიმდინარე ვალდებულებების ჯამი		5,122,168	2,961,499
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სალიზინგო ვალდებულებები	11	69,140	248,820
გრძელვადიანი ვალდებულებების ჯამი		69,140	248,820
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	12	116,137	-
აკუმულირებული მოგება/ზარალი	12	748,931	748,932
საანგარიშგებო პეროდის მოგება/ზარალი	12	(1,985,519)	-
სულ კაპიტალი		(1,120,451)	748,932
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		4,070,858	3,959,251

ხელმომწერი პირები:

დირექტორი:

მთავარი ბუღალტერი:

30 მარტი 2021 წ.

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-23 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

შპს „რესპუბლიკა“

ფინანსური უწყისები და განმარტებითი შენიშვნები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შემიშვნები	31-დეკ-19	31-დეკ-18
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	5	2,596	26,561
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	2,115,150	1,835,577
გადახდილი ავანსები		77,689	57,303
წინასწარ გადახდილი ხარჯები		-	53,686
მარაგები	7	1,258,612	1,441,534
მიმდინარე აქტივების ჯამი		3,454,048	3,414,660
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	616,210	543,991
არამატერიალური აქტივები	8	600	600
გრძელვადიანი აქტივების ჯამი		616,810	544,591
აქტივების ჯამი		4,070,858	3,959,251
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	4,392,305	2,687,683
მოკლევადიანი სესხები	10	322,338	-
სალიზინგო ვალდებულების მიმდინარე ნაწილი	11	134,781	148,304
საგადასახადო აქტივი/ვალდებულება		272,744	125,512
მიმდინარე ვალდებულებების ჯამი		5,122,168	2,961,499
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სალიზინგო ვალდებულებები	11	69,140	248,820
გრძელვადიანი ვალდებულებების ჯამი		69,140	248,820
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	12	116,137	-
აკუმულირებული მოგება/ზარალი	12	748,931	748,932
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	12	(1,985,519)	-
სულ კაპიტალი		(1,120,451)	748,932
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		4,070,858	3,959,251

ხელმოწერილი პირები:

დირექტორი:

მთავარი ბუღალტერი:

30 მარტი 2021 წ.
თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-23 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

სრული შემოსავლების ანგარიშგება 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	31-დეკ-19	31-დეკ-18
ამონაგები	13	16,397,478	19,855,109
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	14	(16,475,603)	(17,612,649)
საერთო მოგება		(78,125)	2,242,460
სხვა შემოსავლები	16	217,767	305,220
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	15	(1,485,876)	(1,373,463)
საგადასახადო ხარჯები	16	(2,733)	(582)
სხვა ხარჯები	16	(465,069)	(241,640)
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან		(1,814,036)	931,994
ფინანსური ხარჯი	16	(30,189)	(800)
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		(140,147)	(120,216)
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/ზარალი		7,155	(24,905)
მოგება/ზარალი დაბეგვრამდე		(1,977,218)	786,073
მოგების გადასახადი		(8,301)	-
ზარალი		(1,985,519)	786,073
სხვა სრული შემოსავალი/ხარჯი			
სულ შემოსავალი / (ხარჯი)		(1,985,519)	786,073

ხელმომწერი პირები:

დირექტორი:

მთავარი ბუღალტერი:

30 მარტი 2021 წ.

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-23 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

შპს „რესპუბლიკა“

ფინანსური უწყისები და განმარტებითი შენიშვნები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

სრული შემოსავლების ანგარიშგება 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	31-დეკ-19	31-დეკ-18
ამონაგები	13	16,397,478	19,855,109
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	14	(16,475,603)	(17,612,649)
საერთო მოგება		(78,125)	2,242,460
სხვა შემოსავლები	16	217,767	305,220
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	15	(1,485,876)	(1,373,463)
საგადასახადო ხარჯები	16	(2,733)	(582)
სხვა ხარჯები	16	(465,069)	(241,640)
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან		(1,814,036)	931,994
ფინანსური ხარჯი	16	(30,189)	(800)
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		(140,147)	(120,216)
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/ზარალი		7,155	(24,905)
მოგება/ზარალი დაბეგვრამდე		(1,977,218)	786,073
მოგების გადასახადი		(8,301)	-
ზარალი		(1,985,519)	786,073
სხვა სრული შემოსავალი/ხარჯი			
სულ შემოსავალი / (ხარჯი)		(1,985,519)	786,073

ხელმოწერილი პირები:

დირექტორი:



მთავარი ბუღალტერი:

Handwritten signature of the Chief Accountant.

30 მარტი 2021 წ.

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-23 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

შპს „რესპუბლიკა“

ფინანსური უწყისები და განმარტებითი შენიშვნები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება/ზარალი	სულ
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	(37,140)	(37,140)
საწესდებო კაპიტალის ზრდა/(შემცირება)			-
დივიდენდის გაცემა			-
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი		786,072	786,072
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	748,932	748,932
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება	116,137		116,137
დივიდენდის გაცემა			-
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი		(1,985,519)	(1,985,519)
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	116,137	(1,236,588)	(1,120,450)

ხელმომწერი პირები:

დირექტორი:

მთავარი ბუღალტერი:

30 მარტი 2021 წ.

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-23 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

შპს „რესპუბლიკა“

ფინანსური უწყისები და განმარტებითი შენიშვნები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება/ზარალი	სულ
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	(37,140)	(37,140)
საწესდებო კაპიტალის ზრდა/(შემცირება)			-
დივიდენდის გაცემა			-
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი		786,072	786,072
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	748,932	748,932
საწესდებო კაპიტალის ზრდა/(შემცირება)	116,137		116,137
დივიდენდის გაცემა			-
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი		(1,985,519)	(1,985,519)
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	116,137	(1,236,588)	(1,120,450)

ხელმომწერი პირები:

დირექტორი:



მთავარი ბუღალტერი:

30 მარტი 2021 წ.

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-23 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2019 წლების 31 დეკემბერი

	2019 წელი	2018 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე	(1,977,218)	810976.07
კორექტირება:		
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	113,640	52,058
მოგების გადასახადი	(8,301)	0
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/ზარალი	-	(24,917)
	(1,871,879)	838,116
ფული საოპერაციო საქმიანობიდან		
(ზრდა)/შემცირება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობაში	182,921	(1,441,533)
(ზრდა)/შემცირება სავაჭრო დებიტორულ დავალიანებაში	(279,573)	(1,765,700)
(ზრდა)/შემცირება წინასწარ გადახდილ ხარჯებში	53,686	
ზრდა/(შემცირება) საწარმოს პერსონალის მიმართ ვალდებულებებში	-	90,891
ზრდა/(შემცირება) საგადასახადო ვალდებულებებში	147,232	81,451
ზრდა/(შემცირება) სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	1,704,622	2,422,847
(ზრდა)/შემცირება სხვა მოთხოვნებში	(20,387)	
წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან	(83,377)	(612,045)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(268,779)	(753,724)
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	82,920	157,688
არამატერიალური აქტივების შეძენა		(600)
წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან	(185,859)	(596,636)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
მიღებული/(გადახდილი) სესხები	322,338	397125
მიღებული/(გადახდილი) ლიზინგი	(193,204)	
გადახდილი დივიდენდი	-	
კაპიტალის შევსება/(შემცირება)	116,137	
წმინდა ფული ფინანსური საქმიანობიდან	245,272	397,125
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა	(23,964)	26,561
ფული და ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	26,561	0
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	2,597	26,561

ხელმოწერილი პირები:

დირექტორი:

მთავარი ბუღალტერი:

30 მარტი 2021 წ.

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-23 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

შპს „რესპუბლიკა“

ფინანსური უწყისები და განმარტებითი შენიშვნები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2019 წლების 31 დეკემბერი

	2019 წელი	2018 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე	(1,977,218)	810976.07
კორექტირება:		
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	113,640	52,058
მოგების გადასახადი	(8,301)	0
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/ზარალი	-	(24,917)
	(1,871,879)	838,116
ფული საოპერაციო საქმიანობიდან		
(ზრდა)/შემცირება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობაში	182,921	(1,441,533)
(ზრდა)/შემცირება სავაჭრო დებიტორულ დავალიანებაში	(279,573)	(1,765,700)
(ზრდა)/შემცირება წინასწარ გადახდილ ხარჯებში	53,686	-
ზრდა/(შემცირება) საწარმოს პერსონალის მიმართ ვალდებულებებში	-	90,891
ზრდა/(შემცირება) საგადასახადო ვალდებულებებში	147,232	81,451
ზრდა/(შემცირება) სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	1,704,622	2,422,847
(ზრდა)/შემცირება სხვა მოთხოვნებში	(20,387)	-
წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან	(83,377)	(612,045)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(268,779)	(753,724)
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	82,920	157,688
არამატერიალური აქტივების შეძენა	-	(600)
წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან	(185,859)	(596,636)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
მიღებული/(გადახდილი) სესხები	322,338	397,125
მიღებული/(გადახდილი) ღიზინგი	(193,204)	-
გადახდილი დივიდენდი	-	-
კაპიტალის შევსება/(შემცირება)	116,137	-
წმინდა ფული ფინანსური საქმიანობიდან	245,272	397,125
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა	(23,964)	26,561
ფული და ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	26,561	0
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	2,597	26,561

ხელმოწერილი პირები:

დირექტორი:

30 მარტი 2021 წ.
თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი:

შენიშვნები გვრდებზე 8-23 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვრდებზე 1-3.

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

საფირმო სახელწოდება:	შპს რესპუბლიკა
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი:	406205592
რეგისტრაციის ნომერი, თარი:	24/03/2017
მარეგისტრირებული ორგანო:	სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
იურიდიული მისამართი:	საქართველო, ქ. თბილისი, სამგორის რაიონი, ლილოს დასახლება, II მიკრო/რაიონი, კორპუსი 4, ბინა 18.

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა
დირექტორი - 01028002757, ბესიკ ხიხალიშვილი

პარტნიორები
70%-იანი წილის მფლობელი 01017005968, კონსტანტინე რუსაძე;
30%-იანი წილის მფლობელი 3200877A020PB3, MC2897903, ბელარუსი, ალექს ლეანეტს.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს რძის პროდუქტების წარმოება და რეალიზაცია.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

ვალუტა	31 დეკ 2019	31 დეკ 2018
1 USD/GEL	2.8677	2.6766
1 EUR/GEL	3.2095	3.0701

2. მომზადების საფუძვლები და საადრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

შესაბამისობის პრინციპი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმის დაშვებით, რომ კომპანია წარმოადგენს მოქმედ საწარმოს და პროგნოზირებად მომავალში გააგრძელებს ფუნქციონირებას.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების კონცეფციის საფუძველზე. ისტორიული ღირებულება ზოგადად ეფუძნება საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ გადახდილი ანაზღაურების რეალურ ღირებულებას.

რეალური ღირებულება არის ის ფასი, რომელსაც გაზომვის დღეს პირი მიიღებდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების გასხვისებითვის შესაბამის ტრანზაქციაში ბაზრის მონაწილეთა შორის იმის მიუხედავად, შეიძლება თუ არა ამ ფასზე პირდაპირ დაკვირვება ან მისი გამოთვლა შეფასების სხვა ტექნიკის გამოყენებით. აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულების გამოთვლისას კომპანია ითვალისწინებს ამ აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეები ამავე მახასიათებლებს გაითვალისწინებდნენ აღნიშნული აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას გაზომვის დღეს. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში, გაზომვის ან/და განმარტების მიზნით, რეალური ღირებულება აღნიშნულ საფუძველზე დაყრდნობით განისაზღვრება.

გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, რეალური ღირებულების გაზომვა იყოფა 1-ელი, მე-2 და მე-3 დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რეალური ღირებულების რომელი კომპონენტებია დაკვირვებადი და რა მნიშვნელობის მატარებელია ეს კომპონენტები მთლიანად რეალური ღირებულების მოცულობის დადგენაში. აღნიშნული კატეგორიებია:

- ② 1-ელი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე), რომელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს;
- ② მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება 1-ელ დონეში მოცემული კოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და
- ② მე-3 დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის შეუძლებელია.

კომპანია რეგისტრირებულია საქართველოში და აწარმოებს საკუთარ ადრიცხვას ქართული კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერებიდან და კორექტირებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით.

შეფასების საფუძველი

შეფასების საფუძვლად გამოყენებულია ისტორიული ღირებულების საფუძველი. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქვემოთ მოცემული საადრიცხვო პოლიტიკით სხვაგვარად არის განსაზღვრული.

ფუნქციონალური ვალუტა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ელემენტების საზომ ვალუტას წარმოადგენს ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ეკონომიკურ გარემოში, სადაც კომპანია ახორციელებს საქმიანობას (“ფუნქციონალური ვალუტა”). ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი. ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი.

ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები ურთიერთჩაითვლება და წმინდა ღირებულებით აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს იურიდიული უფლება განახორციელოს აღიარებული თანხების ურთიერთჩაითვლა და განზრახული აქვს მოახდინოს აქტივის ჩათვლა წმინდა ღირებულებით ან ერთდროულად მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, დადებითი ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

ქვემოთ წარმოდგენილია ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკები.

ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზების ზოგადი საკითხები.

საანგარიშგებო პერიოდს წარმოადგენს კალენდარული წელი. ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია მცირა და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად განყოფილების (ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მოთხოვნათა შესაბამისად). ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი მოიცავს: ა) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას პერიოდის დასასრულისთვის; ბ) პერიოდის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას; გ) პერიოდის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას; დ) პერიოდის ფულადი ნაკადების ანგარიშგებას; ე) განმარტებით შენიშვნებს, სადაც განხილულია ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და სხვა განმარტებითი ინფორმაცია;

კომპანია 2017 წელს ბუღალტერიას აწარმოებდა საბუღალტრო პროგრამა FMG-ში რომელიც 2018 წლის იანვრიდან მაისამდე შეიცვალა საბუღალტრო პროგრამა „ორისი“-თ რომელიც აგრეთვე 2018 წლის ივნისიდან კვლავ შეიცვალა საბუღალტრო პროგრამა FMG-თ. ფინანსურ ანგარიშგების შედგენა ევალება მთავარი ბუღალტერს, ფინანსურ ანგარიშგების მომზადებას ზედამხედველობას უწევს კომპანიის ღირებულორი რომელიც პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების გამოცემაზე.

ძირითადი საშუალებების აღრიცხვა.

ძირითადი საშუალებების აღიარება ხდება (მსს ფასს-ის) მე-17 განყოფილების მოთხოვნათა შესაბამისად. კერძოდ, გაწეული მატერიალური დანახარჯი აღიარდება აქტივად თუ:

- ა) მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს;
- ბ) საწარმოსათვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

ძირითადი საშუალებების ერთეული, რომელიც აკმაყოფილებს აქტივის აღიარების კრიტერიუმებს, ფასდება მისი თვითღირებულებით.

თვითღირებულების კომპონენტებისადმი სტანდარტის მოთხოვნა საწარმოს დაცული აქვს სრულყოფილად. კერძოდ:

ძირითადი საშუალებების თვითღირებულება მოიცავს:

- ა) მისი ნასყიდობის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადებისა და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადების ჩათვლით, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გათვალისწინებით;
- ბ) ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის;

გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას, რის ვალდებულებასაც საწარმო იღებს შეძენის მომენტში ან, შემდეგში, როდესაც გარკვეული დროის განმავლობაში საწარმო აქტივს იყენებს სხვა საქმიანობისათვის, გარდა მარაგის წარმოებისა. თავდაპირველი აღიარების შემდგომი შეფასებისათვის შერჩეულია თვითღირებულების მოდელი.

ცვეთა.

ცვეთადი ღირებულება და ცვეთის პერიოდი - თითოეული ძირითადი საშუალებისათვის განისაზღვრება ცვეთადი ღირებულება, როგორც სხვაობა აქტივის თვითღირებულებასა და ნარჩენ ღირებულებას შორის. ხშირ შემთხვევებში ნარჩენი ღირებულებები არაარსებითია და ამდენად ნულის არის გატოლებული, ცვეთადი ღირებულება თვითღირებულების ტოლია. განსაზღვრულია ასევე ცვეთის პერიოდი.

ცვეთის მეთოდად არჩეულია შემცირებადი ნაშთის მეთოდი.

აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადა ყოველი ფინანსური წლის ბოლოს გადაისინჯება და თუ მოსალოდნელი მნიშვნელოვნად განსხვავდება წინა შეფასებებისაგან, ცვლილებები აისახება, როგორც სააღრიცხვო შეფასების ცვლილება.

აღიარების შეწყვეტა ხდება ძირითადი საშუალების გაყიდვის შემთხვევაში; ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

ძირითადი საშუალებების ჯგუფებისთვის განსაზღვრული შესაბამისი სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

შენობა-ნაგებობები	- 30 წელი
მანქანები-დანადგარები	- 5 წელი
ოფისის აღჭურვილობა	- 5 წელი
კომპიუტერული ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები	- 5 წელი
სხვა	- 6-7 წელი

პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციაზე გაწეული დანახარჯების აღრიცხვა.

მარაგის შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს მის შეძენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს, აგრეთვე დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

ხარჯებად აღიარება. როცა მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯებად, როდესაც აღიარდება შესაბამისი შემოსავლები. მარაგის ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის ნებისმიერი თანხა, აგრეთვე მარაგის დანაკარგის თანხები, შესაბამისად, აღიარდება იმ პერიოდის ხარჯებად, როცა მოხდა ჩამოწერა ან ადგილი ჰქონდა დანაკარგებს. მარაგის ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანულირების) თანხა უნდა აღიარდეს იმ მარაგის თანხის შემცირებად, რომელიც ხარჯადაა აღიარებული პერიოდში, როდესაც მოხდა უკუგატარება.

საქონლის (მომსახურების) რეალიზაციის აღრიცხვა. დარიცხული დღგ-ს აღრიცხვა.

საქონლის მიწოდება და მომსახურების გაწევა აღირიცხება მსს ფასს-ის 23 განყოფილების მოთხოვნათა შესაბამისად. საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:

ა) საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;

ბ) საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;

გ) შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა;

დ) მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს;

ე) შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება. თუ შესაძლებელია მომსახურების გაწევის შედეგების საიმედოდ განსაზღვრა, მასთან დაკავშირებული ამონაგების აღიარება ხდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით.

მომსახურების მიწოდების შედეგების საიმედოდ შეფასება მაშინ არის შესაძლებელი, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

ა) ამონაგების თანხის განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ;

ბ) მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;

გ) შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს;

დ) შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესრულებისათვის საჭირო დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

საკურსო სხვაობების აღიარება.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულად მუხლებთან დაკავშირებული ანგარიშსწორებისას, ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში თავდაპირველი აღიარების დროს, ან წინა პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა, მსს ფასს-ის 23-ე განყოფილების მოთხოვნათა შესაბამისად.

ღარიცხული დღგ-ს აღრიცხვა.

საქონლის გარკვეული ნაწილის მიწოდება განთავისუფლებულია დღგ-საგან ჩათვლის უფლებით საგადასახადო კოდექსის 168 მუხლის მეოთხე ნაწილის ქ) პუნქტის საფუძველზე. ასეთია საქართველოს ბინადარი ცხოველისგან მიღებული პროდუქტის სამრეწველო გადამამუშავების შედეგად წარმოებული ყველი. წარმოებული ყველა სხვა პროდუქტის მიწოდება იბეგრება დღგ-ით.

მომხმარებლებთან ანგარიშსწორება ნაწილობრივ ხორციელდება ნაღდი ანგარიშსწორებით და მომხმარებლების მიერ გადახდილი ნაღდი თანხები საგადასახადო კოდექსის 259-ე მუხლის შესაბამისად აღირიცხება საკონტროლო საკასო აპარატებით.

სალაროს მეურნეობის ორგანიზება საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ დადგენილი განაწესით ხდება, სალაროს ოპერაციებს მოლარე ოპერატორები და მთავარი მოლარე ახორციელებენ. ისინი მატერიალურად პასუხისმგებელ პირებს წარმოადგენენ. სალაროს ოპერაციების დოკუმენტური გაფორმება და მათი ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამაში ასახვა დადგენილი წესით ხორციელდება შემოსავლისა და გასავლის ორდერების სათანადო გაფორმებით. ორდერებზე არ ხდება მოკორექტირება ანგარიშების მითითება, ვინაიდან ამ ანგარიშების განსაზღვრას სალაროს ოპერაციების ბუღალტრულ ბაზაში ასახვის ახორციელებენ სათანადო კვალიფიკაციის ბუღალტრები.

ანგარიშსწორების ანგარიშით შესრულებული ოპერაციების აღრიცხვა.

უნდა ედრებოდეს ბანკების მიერ მოწოდებულ ამონაწერებში დაფიქსირებულ ბრუნვის მონაცემებსა და ნაშთებს. ანგარიშსწორების ანგარიშის მოკორესპონდენტო ანგარიშების მითითებას და შესაბამისად, ოპერაციის შინაარსის მიხედვით გატარებებს ასრულებენ სათანადო კვალიფიკაციის ბუღალტრები.

სავალუტო ანგარიშებით წარმოებული ოპერაციების აღრიცხვა.

ბუღალტრული აღრიცხვა უნდა ედრებოდეს ბანკების მიერ მოწოდებულ ამონაწერებში დაფიქსირებულ ბრუნვის მონაცემებსა და ნაშთებს შესაბამის ვალუტებში. უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციები სამუშაო ვალუტაში გადადის მსს ფასს-ის 30-ე განყოფილების მოთხოვნათა შესაბამისად. ანგარიშსწორების ანგარიშის მოკორესპონდენტო ანგარიშების მითითებას და შესაბამისად, ოპერაციების შინაარსების მიხედვით გატარებებს ასრულებენ სათანადო კვალიფიკაციის ბუღალტრები.

მყიდველებთან და დამკვეთებთან ანგარიშსწორების აღრიცხვა.

მსს ფასს-ის 21-ე განყოფილების მოთხოვნათა შესაბამისად ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განისაზღვრება, არსებობს თუ არა მინიშნება დებიტორული დავალიანების, როგორც ფინანსური აქტივის გაუფასურების შესახებ. ასეთის არსებობის შემთხვევაში, შეაფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და განმარტებით შენიშვნებში აისახება სააღრიცხვო შეფასებაში მომხდარი ცვლილების შინაარსი და მოცულობა (Loss allowance), რომელიც არსებით გავლენას ახდენს მიმდინარე პერიოდზე ან მოსალოდნელია, რომ მოახდენს მომავალ პერიოდებზე.

მომწოდებლებთან ანგარიშსწორების აღრიცხვა.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების აღრიცხვა წარმოებს მსს ფასს-ის 30-ე განყოფილების მოთხოვნათა დაცვით. ანგარიშგების წარმოდგენისას მომწოდებლის მიმართ უცხოურ ვალუტაში გამოსახული ვალდებულების ფინანსური (მონეტარული) ანგარიშ(ებ)ი გადაიყვანება წარსადგენ ვალუტაში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების პერიოდის ბოლოს არსებული საბოლოო სავალუტო კურსით; გადაყვანის შედეგად წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში.

შრომის ანაზღაურების აღრიცხვა.

აღირიცხება მსს ფასს-ის 28-ე განყოფილების მოთხოვნათა მიხედვით. დაქირავებული პირის მოკლევადიანი გასამრჯელოები აღიარდება და შეფასება სტანდარტის მიხედვით.

იჯარის აღრიცხვა

იჯარა აღირიცხება მსს ფასს-ის მე-20 განყოფილების მოთხოვნათა მიხედვით. იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას.

კომპანია, როგორც მეიჯარე

მეიჯარემ ფინანსური იჯარის ხელშეკრულებით მის განკარგულებაში არსებული აქტივები უნდა აღიაროს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში და წარადგინოს, როგორც მოთხოვნა, წმინდა საიჯარო ინვესტიციის ტოლი თანხით. წმინდა საიჯარო ინვესტიცია არის მეიჯარის მთლიანი (ბრუტო) საიჯარო ინვესტიცია, რომელიც დისკონტირებულია საიჯარო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით.

მთლიანი (ბრუტო) საიჯარო ინვესტიცია არის შემდეგი ორი სიდიდის ერთობლიობა:

(ა) ფინანსური იჯარისათვის მეიჯარის მიერ მისაღები მინიმალური საიჯარო გადასახდელები; და
(ბ) მეიჯარის სასარგებლოდ დარიცხული მთელი არაგარანტირებული ნარჩენი ღირებულება.

კომპანია, როგორც მოიჯარე

იჯარის ვადის დასაწყისისათვის მოიჯარემ მისი უფლებები აქტივის გამოყენებაზე და ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე უნდა აღიაროს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც აქტივები და ვალდებულებები საიჯარო აქტივის რეალური ღირებულების ტოლი თანხით ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მოიჯარის ნებისმიერი თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯი (დამატებითი დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული საიჯარო გარიგების მოლაპარაკებასა და გაფორმებასთან) დაემატება აქტივის სახით აღიარებულ თანხას.

სახელმწიფო ბიუჯეტთან ანგარიშსწორების აღრიცხვა.

დამატებითი ღირებულობის გადასახადი

დამატებული ღირებულების გადასახადი. საქონლის მიწოდების, ასევე მომსახურების ყველა ოპერაცია იბეგრება დამატებული ღირებულების გადასახადით გარდა ყველის მიწოდებისა, რაც განთავსუფლებულია დღგ-საგან ჩათვლის უფლებით.

კომპანიას უსასყიდლოდ მიწოდებული საქონელი, დანაკლისები დაბეგრული აქვს დამატებული ღირებულების გადასახადით.

დღგ-ს უკუდაბეგრვა არარეზიდენტების მიერ კომპანიისათვის საქართველოში გაწეულ მომსახურებაზე ხორციელდება საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

სამშომსახლო გადასახადი.

საგადასახადო კოდექსის 154-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნათა შესაბამისად პირი, რომელიც ამ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად გადახდის წყაროსთან აკავებს გადასახადს, ვალდებულია: ბიუჯეტში გადარიცხოს გადასახადი პირისათვის თანხის გადახდისთანავე, ხოლო განაცემის არაფულადი ფორმით განხორციელების შემთხვევაში – შესაბამისი თვის ბოლო რიცხვში;

ამავე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად საგადასახადო აგენტი ვალდებულია ამ კოდექსის 153 -ე მუხლის მე 5 ნაწილით დადგენილ ყოველ საანგარიშო პერიოდზე, არა უგვიანეს ამ პერიოდის მომდევნო თვის 15 რიცხვისა, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესითა და ფორმით საგადასახადო ორგანოში წარადგინოს დეკლარაცია განხორციელებული განაცემების დაბეგრასთან დაკავშირებით.

ხელფასთან გათანაბრებული სხვა ხარჯები იბეგრება 154 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

ღივიდენდები იბეგრება 130 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

ქონების გადასახადი იანგარიშება საგადასახადო კოდექსის 29-ე თავის მოთხოვნათა შესაბამისად.

ბუღალტრული აღრიცხვის კრიტიკული დაშვებები და შეფასებების არასარწმუნოების ძირითადი წყაროები.

ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო ვადა.

2019 წლის განმავლობაში კომპანიის ხელმძღვანელობას არ მოუხდენია ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო ვადის შესწორება.

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციების თავდაპირველი აღიარება.

ბიზნეს-საქმიანობის პროცესში კომპანია ტრანზაქციებს ახორციელებს დაკავშირებულ მხარეებთან. მსს ფასს-ის 11-12-ე განყოფილებების მიხედვით, ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება უნდა მოხდეს მათი რეალური ღირებულების საფუძველზე. ისეთ შემთხვევებში, როდესაც მსგავსი

შპს „რესპუბლიკა“

ფინანსური უწყისები და განმარტებითი შენიშვნები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

ტრანზაქციების აქტიური ბაზარი არ არსებობს, იმის გარკვევა, ტრანზაქცია საბაზრო თუ არასაბაზრო საპროცენტო განაკვეთებით ფასდება თუ არა, შეფასებით ხდება, რომელიც დაუკავშირებელ მხარეებთან მიმდინარე მსგავსი ტრანზაქციების ფასებისა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთების ანალიზს ეფუძნება.

ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთების შესახებ განმარტებულია შენიშვნაში.

დაკავშირებული მხარეები არიან:

პარტნიორები: 70%-იანი წილის მფლობელი, კონსტანტინე რუსაძე პ/ნ: 01017005968,

30%-იანი წილის მფლობელი, ბელარუსი, ალექს ლეანეთსი, 3200877A020PB3, MC2897903.

დირექტორი: ბესიკ ხიხალაშვილი პ/ნ: 01028002757.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებაზე მომავალ პერიოდში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს არსებულ ნაღდფულს, დეპოზიტებს ბანკებში და მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს. საბანკო ოვერდრაფტები, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სხვა ვალდებულებების სახით.

ბანკში განთავსებული სამ თვეზე მეტი დაფარვის თარიღის მქონე დეპოზიტები გამოკლებულია ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების მუხლიდან და ნაჩვენებია ცალკე, ამორტიზირებული ღირებულებით.

შემოსავალი

ჩვეულებრივი საქმიანობის შედეგად მისაღები საქონლის და მომსახურების საფასური აღირიცხება მიღებული ან მისაღები რეალური ღირებულებით, რასაც შესაძლოა, დააკლდეს სხვადასხვა ტიპის ფასდაკლებები. შემოსავლის აღიარება როგორც წესი ხდება მომხმარებელთან გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ან საცალო რეალიზაციის შემთხვევაში სასაქონლო ზედნაღების გაცემის მომენტში, რომლითაც მფლობელობის რისკები გადასულია მომხმარებელზე, შესაბამისი გადასახადის მიღება სავარაუდოა, შესაძლო ფასდაკლებები იოლად გამოთვალადია, მენეჯმენტის ხანგრძლივი ჩარევა აღარ არის საჭირო და მისაღები შემოსავლის მოცულობა საიმედოდ გამოითვლება.

ფინანსური შემოსავალი და ხარჯი

კომპანიის ფინანსური შემოსავალი და ხარჯი მოიცავს:

- საპროცენტო შემოსავალი
- საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო შემოსავლის და ხარჯის აღიარება ხდება ეფექტური პროცენტის მეთოდით. სესხის ხარჯები, რომელთა პირდაპირ მიკუთვნება შესაბამისი აქტივის შეძენაზე, შექმნაზე ან ამენებაზე ვერ ხერხდება, აღიარდება მოგება-ზარალში ეფექტური პროცენტის მეთოდით.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში აღირიცხება კომპანიის ფუნქციურალუტაში, ლარში, გარიგებისდღეს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის კურსით.

ანგარიშგების თარიღისათვის უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები აღირიცხება კომპანიის ფუნქციურ ვალუტაში, ლარში, ანგარიშგების დღეს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის კურსით. გადაფასებიდან მიღებული შემოსავალი ან ხარჯი არის სხვაობა პერიოდის დასაწყისისათვის ლარში ღირებულებასა, დაკორექტირებულს ეფექტური პროცენტით და პერიოდის განმავლობაშიშესასრულებელიგადასახადებით, და უცხოურ ვალუტაში ღირებულებას შორის, რომელიც გადაყვანილია ლარში პერიოდის ბოლოს კურსით.

გადასახადები

მოგების გადასახადი ჩვეულებრივ შედგება მიმდინარე და გადავადებული ნაწილებისაგან. ის აღიარდება მოგება-ზარალში გარდა პირდაპირ კაპიტალში ან სხვა სრული შემოსავლებში შესული ნაწილისა.

კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში ასახავს დღგ-ის აქტის, როგორც მიმდინარე საგადასახადო აქტის / წინასწარ გადახდილ ხარჯს.

მარაგები

მარაგები აღირიცხება საწყის ღირებულებასა და წმინდა გასაყიდ ღირებულება შორის უმცირესით.

წმინდა გასაყიდი ღირებულება არის ჩვეულებრივი საქმიანობისას მისაღები გასაყიდი ფასი, რომელსაც აკლდება პროდუქტის დასრულებისა და გაყიდვის ხარჯები.

ძირითადი საშუალებები

აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები აღირიცხება შეძენის ღირებულებით, რასაც აკლდება ცვეთა და გაუფასურების დაგროვილი დანაკარგები. დამფუძნებლების მიერ შემოტანილი ძირითადი საშუალებები აღიარდება შეძენის ღირებულებით. 2019 წ. 01 იანვრისათვის ძირითადი საშუალებების ღირებულება განსაზღვრულ იქნა ამ თარიღისათვის მათი ისტორიული ღირებულებით („მიღებული ღირებულებით“).

შეძენის ღირებულება მოიცავს ხარჯებს, რომლებიც პირდაპირ მიკუთვნება აქტივის შეძენაზე. კომპანიის მიერ შექმნილი აქტივის ღირებულება მოიცავს მასალების, პირდაპირი ხელფასების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის მუშა მდგომარეობაში მიყვანის, მათი არსებული მდებარეობიდან დაშლა-წამოღების, აღნიშნული მდებარეობის აღდგენის და შეძენისათვის საჭირო სესხის კაპიტალიზირებულ ნაწილს. შექმნილი პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც აუცილებელია შესაბამისი დანადგარის მუშაობისათვის კაპიტალიზირდება, როგორც ამ დანადგარის ნაწილი.

თუ ძირითადი საშუალების ნაწილებს აქვთ სიცოცხლის განსხვავებული ხანგრძლივობა, ისინი აღირიცხება, როგორც ამ ძირითადი საშუალების ცალკეული ნაწილები, ძირითადი კომპონენტები.

ძირითადი საშუალების გაყიდვით მიღებული მოგება ან ზარალი განისაზღვრება მისაღები თანხის შედარებით მის ნარჩენ ღირებულებასთან და შესაბამისად აღიარდება წმინდა მოგება-ზარალად სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯში.

შემდგომი ხარჯები

ძირითადი საშუალების ნაწილის შეცვლის ხარჯი ემატება მის ნარჩენ ღირებულებას, თუ სავარაუდოა, რომ ნაწილის გამოყენებით მიღებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი კომპანიას დარჩება და თუ მისი ხარჯი საიმედოდ გაზომვადია. შეცვლილი ნაწილის ნარჩენი ღირებულება ჩამოიწერება. ძირითადი საშუალების ყოველდღიური მომსახურების ხარჯი მოგება-ზარალში ჩამოიწერება.

ცვეთა

ძირითადი საშუალების ცვეთის დარიცხვა წარმოებს მისი ექსპლუატაციაში შესვლის მომენტიდან. საკუთარი ძალებით შექმნილი აქტივისათვის - თარიღიდან, როდესაც ის დასრულებულად ითვლება და მზადაა გამოყენებისათვის. ცვეთა გამოითვლება საწყის ღირებულებასა და საბოლოო ნარჩენ ღირებულებას შორის სხვაობით.

ცვეთა აღიარდება მოგება-ზარალში შემცირებადი ნაშთის მეთოდით აქტივის თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების ვადის განმავლობაში. ასეთი აღრიცხვა ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივისგან მიმდინარე პერიოდში მისაღები მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ოდენობას. მიწა არ იცვითება.

კომპანია ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის გადახედავს მიდგომებს ცვეთის, სასარგებლო გამოყენების ვადის და საბოლოო ნარჩენი ღირებულების მიმართ. საჭიროების შემთხვევაში კი შეიტანს მათში ცვლილებებს.

ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს სესხებად და მოთხოვნებად აღრიცხავს.

კომპანია არაწარმოებულ ფინანსურ ვალდებულებებს სხვა ფინანსურ ვალდებულებათა კატეგორიაში აღრიცხავს.

არაწარმოებული ფინანსური აქტივები

კომპანია აღრიცხავს სესხებს და მოთხოვნებს მათი წარმოქმნის თარიღში. ყველა სხვა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების საწყისი აღიარება ხდება იმ გარიგების თარიღით, როდესაც კომპანია გახდა შესაბამისი ხელშეკრულების მხარე.

კომპანია ჩამოწერს ფინანსურ აქტივს, როდესაც ვადა გასდის მის უფლებას აქტივისგანმისაღებფულად ნაკადებზე, ან კომპანია გადასცემს ასეთ ფულად ნაკადებს ხელშეკრულებით, რომლითაც შესაბამისი აქტივის ფლობის რისკები და სარგებელი თითქმის სრულად გადაეცემა სხვა მხარეს. გადაცემული აქტივის ნებისმიერი ნარჩენი სარგებელი აღირიცხება, როგორც ცალკე აქტივი ან ვალდებულება.

კომპანია ჩამოწერს ფინანსურ ვალდებულებას, მაშინ როდესაც შესაბამისი სახელშეკრულებო ვალდებულება შესრულდა, გაუქმდა ან ვადა გაუვიდა.

ფინანსური აქტივისა და ვალდებულების განაშთავით აღიარება და შესაბამისი წმინდა ნარჩენი ღირებულების ფინანსური მდგომარეობის უწყისში ასახვა ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს იურიდიული უფლება, რომ ჩაითვალოს აღიარებული მოცულობა და აპირებს მისი წმინდა ღირებულებით გამოყენებას, ან აპირებს ერთდროულად გაყიდოს აქტივი და შეასრულოს ვალდებულება.

სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები ფიქსირებული ან წინასწარგანსაზღვრული გადახდების მქონე ისეთი ფინანსური აქტივების კატეგორიაა, რომლებიც მოქმედ ბაზარზე არ გვხვდება, ან ინფორმაცია მათ შესახებ არ არის საჯარო. ასეთი აქტივები თავდაპირველად აღიარდება რეალურ ღირებულებას დამატებული პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების ხარჯების ღირებულებით. საწყისი აღიარების შემდეგ ეს აქტივები შეფასდება ამორტიზებული ხარჯით, ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით და მცირდება გაუფასურების ნებისმიერი ზარალით.

სესხებისა და მოთხოვნების კატეგორია მოიცავს გაცემულ მოკლევადიან სესხებს, მიწოდებიდან წარმოქმნილ მოთხოვნებს და ფულსა და მის ექვივალენტებს.

არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები - შეფასება

კომპანია აკლასიფიცირებს არაწარმოებულ ფინანსურ ვალდებულებებს სხვა ფინანსურ ვალდებულებებში. ასეთი ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით და მცირდება ნებისმიერ, ტრანზაქციაზე პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯით. საწყისი აღიარების შემდეგ ეს ფინანსური ვალდებულებები ფასდება ამორტიზებული ხარჯით, ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს/კრედიტებს და მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილ ვალდებულებებს.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი შეთანხმებულია დამფუძნებელთან და კლასიფიცირდება კაპიტალად. კომპანიას ჯერჯერობით საწესდებო კაპიტალში შენატანი არ გაუკეთებია.

საწესდებო კაპიტალის შემცირება

საწესდებო კაპიტალის შემცირება ან აქტივების არაფულადი განაწილება აღიარდება განაწილებული აქტივის ნარჩენი საბალანსო ღირებულებით.

გაუფასურება

არაწარმოებული ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივი შეფასდება ყოველ საანგარიშგებო თარიღისთვის, რათა დადგინდეს, არის თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება, რომ იგი გაუფასურებულია. ფინანსური აქტივი ითვლება გაუფასურებულად, თუ ობიექტური მტკიცებულება მიუთითებს, რომ თავდაპირველი აღიარების შემდეგ დადგა ზარალის გამომწვევი შემთხვევა და მას ჰქონდა საიმედოდ შეფასებადი უარყოფითი გავლენა აქტივის მომავალ ფულად ნაკადებზე.

ფინანსური აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება შეიძლება მოიცავდეს:

- მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა ან მისი გაკოტრება;
- კომპანიის მიერ მისაღები თანხის რესტრუქტურისაცია;
- მინიშნება, რომ მოვალე მალე გაკოტრდება;
- მონაცემების არსებობა, რომლებიც მიუთითებენ, რომ არსებობს ფინანსური აქტივების ჯგუფში

არაფინანსური აქტივები

კომპანიის არაფინანსური აქტივების, გარდა მარაგებისა, ნარჩენი საბალანსო ღირებულებების გადახედვა ხდება ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, რათა დადგინდეს, არის თუ არა გაუფასურების რაიმე ნიშანი. ასეთი ნიშნის არსებობისას შეფასდება აქტივის ამოღებადი თანხა. გაუფასურების დანაკარგის აღიარება ხდება, თუ აქტივის ან მასთან დაკავშირებული ნაღდი ფულის წარმომქმნელი ერთეულის ნარჩენი საბალანსო ღირებულება აღემატება აქტივის სავარაუდო ამოღებად ღირებულებას.

გაუფასურების ტესტირების მიზნით აქტივები, რომელთა ტესტირება სათითაოდ შეუძლებელია, ჯგუფდება აქტივების ისეთ ყველაზე მცირე ჯგუფში, რომელიც გამოიმუშავებს ნაღდ ფულს ხანგრძლივი გამოყენებისას და რომელიც სხვა აქტივების მიერ გამოიმუშავებული ფულისგან ძირითადად დამოუკიდებელია.

აქტივის ან ნაღდი ფულის გენერირების წყაროს ამოღებადი თანხა უდიდესია მის არსებულ და რეალურ ღირებულებებს შორის, დაკლებული გაყიდვის ხარჯები. არსებული ღირებულება გამოითვლება მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით გადასახადამდე კოეფიციენტით, რომელიც ითვალისწინებს ფულის დროითი ღირებულების და აქტივის სპეციფიკური რისკების მიმდინარე საბაზრო შეფასებას.

არამატერიალური აქტივების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს არამატერიალური აქტივების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს არამატერიალური აქტივების გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებს შორის

კომპანიის ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას კომპანია დებს გარიგებებს დაკავშირებულ მხარეებთან. IAS 39 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყის აღიარებას, მათ სამართლიან ღირებულებაზე დაყრდნობით. გადაწყვეტილება გამოიყენება იმის დასადგენად, გარიგება შეფასებულია საბაზრო თუ არასაბაზრო ფასებით, როდესაც არ არის აქტიური ბაზარი ამგვარი გარიგებისათვის. გადაწყვეტილების საფუძველი არის მსგავსი ტიპის გარიგებების ფასდადება არადაკავშირებულ მხარეებთან

4. IASB-ს მიერ გამოცემული ახალი ან განახლებული სტანდარტები და განმარტებები

მსს ფასს-ში განახლება ან ცვლილებები, წინა საანგარიშგებო პერიოდიდან შედგენიდან მიმდინარე ფინანსური ანგარიშგების შედგენამდე, არ მომხდარა.

ქვემოთ მოცემული შეცვლილი სტანდარტები კომპანიისთვის ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან, მაგრამ მათ არსებითი გავლენა არ ჰქონიათ კომპანიაზე:

ფასს 16 - ფინანსური იჯარა

ფასს 16, „ფინანსური იჯარა“ (გამოიცა 2016 წლის 13 იანვარს და ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვარს). კომპანიამ სტანდარტის გამოყენება მისი სავალდებულო მიღების დღიდან, 2019 წლის 1 იანვრიდან გადაწყვიტა, მოდიფიცირებული რეტროსპექტიული მეთოდის გამოყენებით, შესადარისი ბალანსების გადაფასების გარეშე და სტანდარტით დაშვებული გარკვეული გამარტივების გამოყენებით. იჯარით აღებული აქტივების გამოყენების უფლება ფასდება სტანდარტის მიღების თარიღში არსებული იჯარის ვალდებულების თანხით (დაკორექტირებული ნებისმიერი წინასწარ გადახდილი ან დარიცხული დანახარჯებით).

ფასს 16-ის მიღებისას, კომპანიამ გამოიყენა შემდეგი პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომა

(გამარტივებული მიდგომა), რომელიც დაშვებულია სტანდარტით:

- გონივრულად მსგავსი მახასიათებლების საიჯარო პორტფელის ერთჯერადი დისკონტირების განაკვეთის გამოყენება,
- დაყრდნობა მანამდე განხორციელებულ შეფასებებზე იმის შესახებ, იჯარები წამგებიანია თუ არა, როგორც გაუფასურების მიმოხილვის შესრულების ალტერნატივა-2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, წამგებიან ხელშეკრულებებს ადგილი არ ჰქონიათ.
- რეტროსპექტიული ხედვის გამოყენება იჯარის იმ ვადების განსაზღვრისას, სადაც ხელშეკრულება მოიცავს იჯარის გაგრძელებისა და შეწყვეტის შესაძლებლობას.

- ფაისკ 23 - „განუსაზღვრელობა მოგების გადასახადის აღრიცხვასთან დაკავშირებით“
- ცვლილებები ფასს 9-ში - „ავანსის მახასიათებლები უარყოფითი კომპენსაციით“
- ცვლილებები ასს 28-ში „გრძელვადიანი წილი მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში“
- ცვლილებები ფასს 3-ში, ფასს 11-ში, ასს 12-სა და ასს 23-ში - ფასს-ების წლიური გაუმჯობესებების

5. ფული და ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	31-დეკ-19	31-დეკ-18
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	2,596	12,052
ეროვნული ვალუტა საღაროში	-	14,509
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტების ჯამი	2,596	26,561

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოიცავს საბანკო ანგარიშებზე და კომპანიის საღაროში არსებულ თანხებს.

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც არასარიცხო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

6. მოკლევადიანი მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31-დეკ-19	31-დეკ-18
მოთხოვნები მიწოდებიდან	2,456,758	1,802,199
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	-	83
სხვა მოთხოვნები	-	33,295
საექვო მოთხოვნების რეზერვი	(341,608)	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ჯამი	2,115,150	1,835,577

მიწოდებიდან წარმოქმნილი მოთხოვნების დიდი ნაწილი კომპანიას გაუჩნდა საბითუმო ვაჭრობიდან, მხოლოდ მის მცირე ნაწილს შეადგენს საცალო ვაჭრობიდან წარმოქმნილი მოთხოვნები.

7. სასაქონლო-მატერიალური მარაგი

მარაგები	31-დეკ-19	31-დეკ-18
ნედლეული და მასალები	740,538	958,770
მზა პროდუქცია	451,457	231,813
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	25,234	29,963
ვადაგასული პროდუქცია	21,556	165,398
საქონელი	11,704	39,411
ყველის მომწიფების საწყობი	5,319	12,193
ლაბორატორიული ინვენტარი	2,553	2,553
საწვავი	252	1,182
ლაბორატორიული ქიმიკატები	-	264
მარაგების ჯამი	1,258,612	1,441,547

მარაგები შეფასებულია თვითღირებულებით, პრაქტიკულად არ არსებობს მარაგები, რომელთა შეფასებაც საჭირო გახდებოდა თვითღირებულებაზე ნაკლები შესაძლო ნეტო სარეალიზაციო ღირებულებით.

8. ძირითადი საშუალებები

	მანქანა- დანადგარ ები	ოფისის აღჭურვი ლობა	კომპიუტერული ტექნიკა და პერიფერი ული მოწყობი ლობები	სხვა ამორტიზე ბადი ძირითადი საშუალებ ები	ლიზინგი თ შესყიდუ ლი ძირითადი საშუალებ ები	არამატერ იალური აქტივები	სულ
ბალანსი 01.01.2019	115,417	2,926	-	15,586	462,119	600	596,648
შეძენა	160,917	5,595	2,829	10,910	88,528	-	268,779
გასვლა	-	-	-	-	(82,920)	-	(82,920)
ბალანსი 31.12.2018	276,334	8,521	2,829	26,496	467,727	600	782,507
აკუმულირებულ ი ამორტიზაცია 01.01.2019	(16,304)	(204)	-	(915)	(34,634)	-	(52,057)
ამორტიზაციის ხარჯი	(45,005)	(1,486)	(387)	(3,269)	(80,666)	-	(130,813)
ამორტიზაცია გასულ აქტივზე	-	-	-	-	17,173	-	17,173
აკუმულირებულ ი ამორტიზაცია 31.12.2019	(61,309)	(1,690)	(387)	(4,184)	(98,127)	-	(165,697)
ნარჩენი ღირებულება 31.12.2018	99,113.00	2,722.00	-	14,671.00	427,485.00	600.00	544,590
ნარჩენი ღირებულება 31.12.2019	215,025.00	6,831.00	2,442.00	22,312.00	369,599.87	600.00	616,809

კომპანიის აქტივების შეძენა დაიწყო 2018 წლიდან და შესაბამისად ჯერ არ დამდგარა გაუფასურებაზე ტესტირების ჩატარების, აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები გადასინჯვის აუცილებლობა.

კომპანიის არამატერიალური აქტივია მისი საბუღალტრო პროგრამა FMG.

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31-დეკ-19	31-დეკ-18
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	4,215,548	2,486,562
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე	125,205	192,745
საპენსიო ვალდებულებები	40,265	-
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	11,287	8,375
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ჯამი	4,392,305	2,687,683

კომპანიას წლის ბოლოს ყველაზე დიდი კრედიტორული დავალიანება უფიქსირდება შპს „რძის სამყაროს“ მიმართ რომელიც კომპანიას აწვდის რძის ფხვნილს და შპს „ალანდონ კაპიტალი“-ს მიმართ რომელიც

კომპანიას პასტერიზებული რძით ამარაგებს. ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე აერთიანებს გადასახდელ ხელფასებს და ვალდებულებას კონსტანტინე რუსაძის მიმართ.

10. მოკლევადიანი სესხები

მოკლევადიანი სესხები	31-დეკ-19	31-დეკ-18
მოკლევადიანი სესხები	322,338	-

კომპანიის მოკლევადიანი სესხები შედგება დამფუძნებლისა (კონსტანტინე რუსაძე) და თანამშრომლისაგან (ლიკა მენთეშაშვილი) მიღებული სესხებისგან.

11. სალიზინგო ვალდებულებები

სალიზინგო ვალდებულებები შედგება ორი პოზიციისაგან, გრძელვადიანი სალიზინგო ვალდებულებები და გრძელვადიანი სალიზინგო ვალდებულებები მიმდინარე ნაწილი.

სალიზინგო ვალდებულების მიმდინარე ნაწილი	31-დეკ-19	31-დეკ-18
სალიზინგო ვალდებულების მიმდინარე ნაწილი	134,781	148,304

სალიზინგო ვალდებულებები	31-დეკ-19	31-დეკ-18
სალიზინგო ვალდებულებები	69,140	248,820

კომპანიის სალიზინგო ვალდებულებები შედგება შპს „საქართველოს სალიზინგო კომპანიისგან“ მიღებული ძირითადი საშუალებებისაგან, კერძოდ 2 ერთეული კარაქის შესაფუთი დანადგარისგან, 200 ერთეული ვიტრინა მაცივრისაგან, ერთი ერთეული Mercedes-Benz 2543 ავტომობილისაგან, ერთი ერთეული Hyundai HD72 სატვირთო ფურგონისგან და ერთი ერთეული სეპარატორისაგან.

12. კაპიტალი

კომპანიას 2019 წლის დასაწყისში ქონდა 748,932 ლარის აკუმულირებული მოგება, საწესდებო კაპიტალი კომპანიას 2019 წლის დასაწყისში არ ქონდა, 2019 წლის განმავლობაში დამფუძნებელმა კონსტანტინე რუსაძემ გააკეთა კაპიტალში 116, 137 ლარის შენატანი. კომპანიამ 2019 წელს მიიღო 1,985,519 ლარის ოდენობის ზარალი, დივიდენდი არ გაუცია.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, 2019 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით კომპანიის კაპიტალი უარყოფითია და შეადგენს 1,120,450 ლარს.

13. შემოსავალი

შემოსავალი რეალიზაციიდან	2019 წელი	2018 წელი
შემოსავალი რეალიზაციიდან	19,998,563	20,269,015
გაყიდული საქონლის დაბრუნება და ფასდათმობა	(3,601,085)	(457,916)
შემოსავალი რეალიზაციიდან ჯამი	16,397,478	19,811,099

კომპანიის საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი შედგება კომპანიის ძირითადი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებისგან. კომპანიის შემოსავლების ძირითად წყაროს საქონლის რეალიზაცია წარმოადგენს.

14. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

გაყიდული პროდუქციის ტვითღირებულება	2019 წელი	2018 წელი
ძირითადი მასალების დანახარჯები	13,573,103	15,497,062
შრომის ანაზღაურების ხარჯი	1,313,835	1,484,381
ტარა მასალების ხარჯი	757,664	-
დამხმარე მასალების ხარჯი	118,548	103,845
საწარმოო დანიშნულების ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი	94,996	43,018
კარაქის შეფუთვის ხარჯი	4,454	852
სხვა საოპერაციო ხარჯები	613,003	483,491
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულების ჯამი	16,475,603	17,612,649

15. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2019 წელი	2018 წელი
ქირის ხარჯი	384,160	259,974
მიწოდების სხვა ხარჯები	355,850	168,331
ადმინისტრაციის ხელფასი	286,488	269,603
ფიზიკური პირების მომსახურების ხარჯი	95,288	143,843
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	90,845	97,572
გადასახდელი პრემია და სხვა ანაზღაურება	26,832	32,766
წარმომადგენლობითი ხარჯი	24,295	20,790
ხელფასზე გადახდილი საპენსიო დანამატის ხარჯი	24,200	-
რემონტის ხარჯები	23,068	42,001
ადმინისტრაციული დანიშნულების ძირითადი საშუალებების ცვეთა	18,644	9,040
სხვა საერთო ხარჯები	156,207	329,543
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების ჯამი	1,485,876	1,373,463

16. სხვა შემოსავლები და ხარჯები

სხვა შემოსავლები	2019 წელი	2018 წელი
ინვენტარიზაციის შედეგად მიღებული ზედმეტობა	2,972	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	214,795	305,220
სხვა შემოსავლების ჯამი	217,767	305,220

სხვა ხარჯები	2019 წელი	2018 წელი
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	380,795	157,688
სხვა ხარჯები	84,275	83,953
სხვა ხარჯების ჯამი	465,069	241,640

17. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია მსს ფასს 33.2 -მუხლით „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“, წარმოადგენს :

პირი ან საწარმო, რომელიც დაკავშირებულია იმ საწარმოსთან, რომელიც ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას (ანგარიშვალდებული საწარმო).

- (ა) პირი ან მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ ეს პირი:
- (i) არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან მისი მშობელი საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;
 - (ii) აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს; ან
 - (iii) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან
- (ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულად მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:
- (i) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ მშობელი საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე მსს ფასს – 2015 წ. 316 © IFRS Foundation მშობელი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებული);
 - (ii) ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);
 - (iii) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე საწარმოს ერთობლივ საქმიანობას;
 - (iv) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე საწარმოს ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო არის იმავე მესამე საწარმოსთვის მეკავშირე საწარმო;
 - (iv) ეს საწარმო არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე საწარმოს დაქირავებულ პირთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი. თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ასეთი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ მიიჩნევა;
 - (v) ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე პირი;
 - (vi) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომლის ნაწილიც ის არის, ანგარიშვალდებული საწარმოსთვის, ან ანგარიშვალდებული საწარმოს მშობელი საწარმოსთვის ასრულებს მმართველობითი ხასიათის მომსახურებას;
 - (vii) (ა) (ii) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს (ან მისი მშობელი საწარმოს) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

სასესხო ვალდებულებები დაკავშირებულ მხარეებთან

	2019 წელი	2018 წელი
კონსტანტინე რუსაძე	318,615	-

კონსტანტინე რუსაძე არის კომპანიის დამფუძნებელ, ამიტომ მისგან მიღებული სესხები განიხილება როგორც ოპერაცია დაკავშირებულ მხარესთან. 2019 წელს კონსტანტინე რუსაძემ კომპანიაზე გასცა 1,002,688 ლარის სესხი, კომპანიამ 2019 წელს კონსტანტინე რუსაძეს მიმართ დაფარა 684,074 ლარის სასესხო ვალდებულება.

უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურება	2019 წელი	2018 წელი
კონსტანტინე რუსაძე	41,169	28,125
ბესიკ ხიხალიშვილი	22,600	23,000
სულ უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურება	140,423	126,490

18. რისკის მართვა

კაპიტალის რისკის მართვა

კომპანია საკუთარ კაპიტალს მართავს იმისათვის, რომ შეძლოს ჩვეულ რეჟიმში ფუნქციონირების გაგრძელება, რათა მოზიდული სახსრებისა (ასეთების არსებობის შემთხვევაში) და კაპიტალის ნაშთების ოპტიმიზაციის საშუალებით მოახდინოს დამფუძნებლების უკუგების მაქსიმიზაცია. ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს განზრახული აქვთ, მომავალშიც განაგრძონ ბიზნესი.

კომპანია კაპიტალს მართავს იმისათვის, რათა უზრუნველყოს კომპანიის მხრიდან უწყვეტი საწარმოს პრინციპით ფუნქციონირების გაგრძელება, მათ შორის უკუგების გასაზრდელად სესხისა (საჭიროების შემთხვევაში) და საკუთარი კაპიტალის ბალანსის ოპტიმიზაციის გზით.

რისკის მართვის პოლიტიკა

რისკების მართვა მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქმიანობაში და არის კომპანიის ოპერაციების მნიშვნელოვანი ელემენტი. საქმიანობისათვის დამახასიათებელი ძირითადი რისკები მოიცავს:

- საკრედიტო რისკს
- ლიკვიდობის რისკს
- საბაზრო რისკს
- საოპერაციო რისკს

დადგინილია რისკის მართვის გარემო, რომლის უმთავრესი მიზანია კომპანია დაიცვას რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მიაღწიოს საკუთარ მიზნებს. რისკის მართვის გარემოს საშუალებით კომპანია ახორციელებს შემდეგი სახის რისკების მართვას:

საკრედიტო რისკი

კომპანია ექვემდებარება რისკს, რომ რომელიმე კონტრაგენტი ვერ შეძლებს კომპანიის მიმართ არსებული ვალდებულების შესრულებას, რის შედეგადაც კომპანიას მიაღდება ფინანსური ზარალი. ან ვალდებულების დაგვინებით შესრულება გამოიწვევს ზარალს ეროვნული ვალუტის გაუფასურების გამო.

რისკის ამ სახის მართვა ხორციელდება მენეჯმენტის მიერ დაწესებული ლიმიტებით. როგორც წესი, სავაჭრო მოთხოვნები არ წარმოადგენს უზრუნველყოფილ, ან ჰეჯირებულ მოთხოვნებს. კომპანია აკონტროლებს მოთხოვნების ოდენობებისა და ვადიანობის ლიმიტებს, ვადაგადაცილებას, კლიენტების რეიტინგს. ამ პარამეტრების გათვალისწინებით ანგარიშობს გაუფასურების ოდენობას.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის იმის რისკი, რომ კომპანიის მოგება ან კაპიტალი, ან მისი უნარი, მიაღწიოს ბიზნეს ამოცანებს, გაუარესდება საბაზრო განაკვეთების, ფასების ცვლილების ან მერყეობის შედეგად. საბაზრო რისკი მოიცავს მარჟის განაკვეთის რისკს, სავალუტო რისკს და ფასდადებასთან დაკავშირებულ სხვა რისკებს, რომელსაც ექვემდებარება კომპანია.

კომპანიის ხელმძღვანელობა აწარმოებს კომპანიის მიმდინარე ფინანსური მდგომარეობის მონიტორინგს, აფასებს მის დამოკიდებულებას მარჟის ცვალებადობის მიმართ და მის ზეგავლენას კომპანიის მომგებიანობაზე.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განიმარტება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შეიცვლება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობასთან ერთად. კომპანია ექვემდებარება

ძირითადი უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსების რყევის გავლენას მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე.

ხელმძღვანელობა სავალუტო რისკს აკონტროლებს ლარის გაუფასურების და სხვა მაკროეკონომიკური ინდიკატორების მონიტორინგით, რაც მას აძლევს საშუალებას მინიმუმამდე დაიყვანოს ეროვნულ ვალუტასთან მიმართებაში სავალუტო კურსის ცვალებადობის შედეგად განცდილი დანაკარგები.

საფასო რისკი

საფასო რისკი არის საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შემოსავლების მერყეობის რისკი, მიუხედავად იმისა, აღნიშნული ცვალებადობა გამოწვეულია ინდივიდუალური ფაქტორებით, თუ ბაზარზე არსებული ფაქტორებით. კომპანიაზე გავლენას ახდენს მისი საქონლის საფასო რისკი, რომელიც ექვემდებარება ძირითად და სპეციფიურ საბაზრო რყევებს.

საფასო რისკს პოტენციური დანაკარგების პერიოდული შეფასებით მართავს. აღნიშნული დანაკარგები შესაძლებელია გამოიწვიოს საბაზრო პირობების გაუარესებამ და დანაკარგების შესაჩერებელი შესაბამისი ლიმიტების, მარჟებისა და უზრუნველყოფის მოთხოვნების დადგენამ და შენარჩუნებამ.

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი წარმოადგენს რისკს, რომელიც წარმოიშობა სისტემის მოშლის, ადამიანური შეცდომის, თაღლითობისა და გარე მოვლენების შედეგად. კონტროლის არარსებობის შემთხვევაში საოპერაციო რისკმა შეიძლება გამოიწვიოს რეპუტაციის გაუარესება, იურიდიული სირთულეები, ფინანსური ზარალი და საქმიანობის შეჩერება. კომპანია ვერ შეამცირებს ყველა საოპერაციო რისკს, მაგრამ უნდა ეცადოს ამ რისკების მართვას კონტროლის გარემოსა და პოტენციური რისკების მონიტორინგისა და მათზე ადეკვატური რეაგირების საშუალებით. კონტროლი გულისხმობს მოვალეობების გადანაწილებას, წვდომის, ავტორიზაციისა და შედარების პროცედურებს, შიდა და გარე აუდიტს, პერსონალის განათლებასა და პროცესების შეფასებას.

19. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

2020 წლის განმავლობაში მსოფლიოს მასშტაბით გავრცელდა ვირუსი Covid-19, რომელიც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ 2020 წლის 11 მარტის თარიღისთვის პანდემიად იქნა მიჩნეული. აღნიშნული კრიტიკული სიტუაციის სამართავად საქართველოს მთავრობამ 2020 წლის 21 მარტს მიიღო გადაწყვეტილება ქვეყანაში გამოეცხადებინა საგანგებო მდგომარეობა. COVID-19-ის შემდგომი გავრცელება საქართველოსა და მთელ მსოფლიოში, სავარაუდოდ, უარყოფითად იმოქმედებს ეკონომიკაზე, თუმცა ჯერ ნაადრევია კომპანიის საქმიანობაზე მისი შესაძლო გავლენის სრულად გააზრება. კომპანია კორონავირუსის (COVID-19) გავრცელებას ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ დამდგარ, არამაკორექტირებელ მოვლენად მიიჩნევს.

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 10 მარტს. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გამოშვებამდე სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც გავლენას მოახდენდნენ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე არ დაფიქსირებულა

**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
რესპუბლიკა**

მმართველობის ანგარიშგება

2019 წ.

(საქმიანობის მიმოხილვა)

მომზადებულია ფირმის მენეჯმენტის მიერ

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება

შპს „რესპუბლიკა“-ს მმართველობითი ანგარიშგების შესახებ

ჩვენ ჩავატარეთ შპს „რესპუბლიკა“-ს 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული მმართველობის ანგარიშგების შემოწმება. ანგარიშგება მოიცავს შპს „რესპუბლიკა“-ს საქმიანობის მიმოხილვას, რაც მოითხოვება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონისა და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად. შპს „რესპუბლიკა“-ს მენეჯმენტი სრულადაა პასუხისმგებელი ამ კომპანიის მმართველობის ანგარიშგების მომზადებაზე და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურისათვის წარდგენაზე დადგენილი წესის შესაბამისად.

შპს „რასელ ბედფორს ეი ეი სი“-მ ჩაატარა წინამდებარე მმართველობის ანგარიშგების შემოწმება გონივრული გარანტიების მისაღებად, თუ რამდენად შეესაბამება კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოთხოვნილ სტანდარტებს, ფინანსურ ანგარიშგებასა და აუდიტის შედეგებს და მთლიანობაში რამდენად სათანადოდ ასახავს კომპანიის პოზიციას და წარმოაჩენს მომავალი განვითარების შესაძლებლობებს, ძირითად რისკებს და გაურკვევლობებს.

მოსაზრება მმართველობით ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, თანდართული მმართველობის ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მოქმედი მარეგულირებელი ნორმატიული აქტების შესაბამისია და თანხვედრილია კომპანიის 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან. ანგარიშგება სათანადოდ წარმოადგენს კომპანიის საქმიანობის, მდგომარეობისა და მომავალი განვითარების შესაძლებლობებისა და რისკების შესახებ ინფორმაციას.

მოსაზრების საფუძველი


მმართველობის ანგარიშგების შემოწმება განხორციელდა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონისა და კანონქვემდებარე აქტების, სახელმძღვანელოებისა და რეკომენდაციების მოთხოვნების შესაბამისად. ჩვენ დამოუკიდებლობის ვართ კომპანიისაგან ბუღალტრთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ შესაბამისად. ჩვენ შევასრულეთ აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ მივიჩნევთ, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული მარწმუნებელი მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

გარიგების პარტნიორი

ალექსანდრე ოქრომჭედლიშვილი

30 მარტი, 2021 წ.

თბილისი, საქართველო



ა) საქმიანობის განვითარება, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა

ა.1. საზოგადოების განვითარების გეგმა

კომპანიის საქმიანობას წარმოადგენს:

ა. რძე-მჟავა პროდუქტების წარმოება და საბითუმოდ რეალიზება

კომპანიის საქმიანობის ძირითადი მარეგულირებელი დოკუმენტებია:

- საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“;
- რძისა და რძის ნაწარმის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე, საქართველოს მთავრობის დადგენილება, 01/08/2015
- სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი
- პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი
- საქართველოს კანონი სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტის ეტიკეტირების შესახებ
- საქართველოს საგადასახადო კოდექსი

შპს რესპუბლიკა არის რძე-მჟავა პროდუქტების მწარმოებელი კომპანია. სარეალიზაციო საქონლის ასორტიმენტი იყოფა შემდეგ ძირითად ჯგუფებად: რძე, მაწონი, არაჟანი, ხაჭო, კეფირი, ყველი, კარაქი, სპრედი, მაიონეზი,

კომპანია საქონელს საბითუმოდ ყიდის დილერ კომპანიებზე, რომლებიც პროდუქციას სარეალიზაციოდ აწვდიან სრულიად საქართველოს ბაზარს. შპს რესპუბლიკას მიერ წარმოებული პროდუქცია წარმოდგენილი არის როგორც სავაჭრო ობიექტებში („უბნის“ მაღაზიები და სხვა) ისე, სავაჭრო ქსელებში (მაგ. გუდვილი, კარფური და სხვა).

შპს რესპუბლიკა ასევე ქვეკონტრაქტის საფუძველზე მის მიერ წარმოებულ პროდუქციას აწვდის თბილისის საბავშვო ბაღებს.

შპს რესპუბლიკას საქართველოს ბაზარზე მის საქმიანობის სეგმენტში უკავია ბაზრის 8 -10 % წილი.

როგორც უკვე აღინიშნა, კომპანიის საქმიანობის არეალი შეზღუდულია ბაზარზე არსებული მაღალი კონკურენციის გამო. ქსელის გაფართოება შესაძლებელი არის დამატებითი ინვესტიციების მოზიდვის საფუძველზე.

გასაყიდ საქონლის ფასებზე მწვავედ მოქმედებს ეროვნული ვალუტის გაუფასურება და ქვეყანაში არსებული ინფლაცია.

ბ.1 ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ.

კომპანიას ფილიალი არ გააჩნია.

გ.1 კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული

დონისძიებების მიმოხილვა

ამ მიმართულებით საანგარიშგებო პერიოდში რაიმე სერიოზული კვლევა არ ჩატარებულა.

დ.1 საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

კომპანიის საქმიანობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები წარმოდგენილია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში.

დასახელება	2019	2018	ცვლილება	ცვლილება %
მიმდინარე აქტივები	3,432,208	3,414,660	17,547	1%
გრძელვადიანი აქტივები	616,810	544,591	72,219	13%
სულ აქტივები	4,049,017	3,959,251	89,766	2%
მიმდინარე ვალდებულებები	5,156,057	2,961,499	2,194,558	74%
გრძელვადიანი ვალდებულებები	55,553	248,820	(193,268)	-78%
მოგება/ზარალი	(2,019,936)	786,073	(2,806,010)	-357%
სულ კაპიტალი	(1,162,593)	748,932	(1,911,525)	-255%
შემოსავალი რელიზაციიდან	16,397,478	19,855,109	(3,457,630)	-17%
რეალიზებული პროდუქციის				
თვითღირებულება	16,475,603	17,612,649	(1,137,045)	-6%

ძირითადი ფინანსური კოეფიციენტები

დასახელება	2019	2018	ცვლილება	ცვლილება %
ვალდებულებები/კაპიტალი	4.48	4.29	0.20	5%
მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი	0.67	1.15	(0.49)	-42%
სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი	0.42	0.67	(0.24)	-37%

შენიშვნა ამ ცხრილის მიხედვით წინა წელთან შედარება არ იძლევა სასურველ შედეგს, ვინაიდან კომპანია შეიქმნა 2017 წლის მარტში და არ არსებობს სრულყოფილი შესადარისი ინფორმაცია.

რაც შეეხება არაფინანსურ მაჩვენებლებს

სოციალური დაცვის ხაზით ძირითადი წარმოების ყველა თანამშრომელი დაზღვეულია სავალდებულო წესით. გარდა ამისა არსებობს მთელი რიგი შეღავათები დასაქმებული ქალებისათვის.

ადამიანთა უფლებების დაცვის ხაზით მოხსნილია ყველანაირი შეზღუდვა როგორც პროფკავშირებში გაწევრიანების მხრივ. წახალისებულია თანამშრომელთა ინიციატივები შრომის პირობების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით.

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ხაზით მუშაობა კომპანიაში არ მიმდინარეობს და იგი არააქტუალურია.

გარემოს დაცვის ხაზით ხდება გარემოში მავნე ნივთიერებების გაფრქვევაზე პერიოდული ანგარიშების შედგენა. ჩატარდა საქვების პასპორტიზაცია. მზადდება პროექტი გამწმენდი სისტემის დანერგვაზე. დიდი ყურადღება ექცევა პლასტმასის ნარჩენების, საღებავების, აკუმულატორების და სხვ, აღრიცხვასა და უტილიზაციას.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

რისკებთან დაკავშირებით კომპანიის მენეჯმენტს მიაჩნია, რომ ქვეყანაში არსებული ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, მომატებული ინფლაციისა და ეროვნული ვალუტის აშშ დოლართან მიმართებით გაუფასურების გამო, მოიმატა ნედლეულის ფასმა, გაძვირდა ტარა-მასალა, მოიმატა მუშახელის ანაზღაურებამ, აღნიშნული თუ არ დასტაბილურდა კომპანიას მძიმე ტვირთად დააწვება, გარდა აღნიშნულისა იგი შეიძლება ასევე წარმოიშვას იმ შემთხვევაში, თუ მოხდება საკანონმდებლო ცვლილებები, ან მოხდება სერიოზული ცვლილება საგადასახადო კანონმდებლობის ნაწილში, რაც გამოიწვევს გადასახადების ცვლილებას.

მენეჯმენტის აზრით ასეთი რისკები არსებობს და საჭიროებს დასტაბილურებას.

დირექტორი:

ბესიკ ხიხალაშვილი

30 მარტი 2021 წ.

თბილისი, საქართველო

სოციალური დაცვის ხაზით ძირითად წარმოების ყველ თანამშრომელ დღევანდელ სავალდებულო წესით გარდ ამისა არსებობს მთელ რიგი შეღავათები დასაქმებულ ქალებისათვის.

ადგიანთა უფლებების დაცვის ხაზით მოხსნილა ყველნაირი შეზღუდვა როგორც პროფესიონალებში გაწევრების მხრივ. წახალსებულთა თანამშრომელთა ინიციატივები შრომის პირობების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას ხაზით მუშაობა კომპანიაში არ მიმდინარებს და იგი არააქტუალურია.

გარემოს დაცვის ხაზით ხდება გარემოში მავნე ნივთიერებების გაფრქვევაზე პერიოდულ ანგარიშების შედენა. ჩატარდ საქვების პასპორტიზაცია. მუდამა პროექტი გამწმენდ სისტემის დანერგვაზე. დიდ ყურადღება ექცევა პლასტიკის ნარჩენების, საღებავების, აკუმულატორების და სხვ, აღრიცხვასა და უტილიზაციას.

ძირითად რისკები და გაუმჯობესებები

რისკებთან დაკავშირებით კომპანიის მენეჯმენტს მიაჩნია, რომ ქვეყანაში არსებულ ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, მომატებული ინფლაციისა და ეროვნულ ვალუტის აშშ დოლართან მიმართებით გაუმჯობესების გამო, მომატ ნედლეულის ფასმა, გაძვირდ ტრამასალ, მომატ მუშახელს ანაზღაურებამ, აღნიშნულთა არ დასტაბილურდ კომპანიას მძიმე ტვირთად დაწვება, გარდ აღნიშნულთა იგი შეიძლება ასევე წარმოშვას იმ შემთხვევაში, თუ მოხდება საკანონმდებლო ცვლილებები, ან მოხდება სერიოზულ ცვლილება საგადასახადო კანონმდებლობის ნაწილში, რაც გამოიწვევს გადსახადების ცვლილებას.

მენეჯმენტს აზრითასეთი რისკები არსებობს და საჭიროებს დასტაბილურებას.

დირექტორი:

30 მარტი 2021 წ.

თბილისი, საქართველო

